№39(40) 4.10.1991

სარბიელი

თავისუფალი სპორტული გაზეთი

ფასი 40 კაპიკი

საქართველოს მენეჯერთა კავშირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობას დანატრებული თბილისი

გია ახალაძის ფოტო

ინფორმაცია პირველწყაროდან

1991 წლის 18 სექტემბერს, როგორც ცნობილია, დააპატიმრეს ოპერატორი გიორგი ხაინდრავა. ვინ გასცა სანქცია? რა ბრალდებით დააპატიმრეს? როგორ მიმდინარეობს გამოძიება?

ამ და სხვა კითხვებზე პასუხის მისაღებად მივმართეთ თბილისის საბურთალოს რაიონის პროკურორს ზაურ ქილიფთარს და გამომძიებელ თენგიზ ილურიძეს. მათი პასუხი მოკლე და კონკრეტული იყო: „სისხლის სამართლის ნებისმიერ საქმეზე, არსებული კანონმდებლობის მიხედვით, ინფორმაცია ეძლევა მხოლოდ ზემდგომ პროკურორს".

ცხადია, ამ ფარი პასუხით ვერ დავკმაყოფილდებოდით. ინფორმაციისთვის მივმართეთ გიორგი ხაინდრავას ძმას, თავისუფალ დემოკრატთა კავშირის თანთავმჯდომარეს ივლიანე ხაინდრავას:

— ჩემი აზრით, ბოლო დროს პოლიტიკური დაპატიმრებანი საქართველოში ყოველგვარი კანონიერების ფარგლებს სცილდება. როგორც ირკვევა, აქ უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს უშუალოდ პრეზიდენტის განწყობილება კონკრეტულ პიროვნებათა მიმართ. დაპატიმრებულნი — გიორგი ჭანტურია და გოგა ხაინდრავა მუდამ ფიგურირებდნენ „უპირველესი მტრების" რიგში. გოგას წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება აბსურულია, რადგან ის არც ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრი არ გახლავთ. ტელევიზიის პიკეტირებას ახორციელებდნენ პოლიტიკური ორგანიზაციები. პროკურორისა და გამომძიებლის პოზიციაში ახალი არაფერია — ისინი არაფერს წყვეტენ. უფრო მეტიც, რაიონისას კი არა, რესპუბლიკის პროკურორსაც არაფერს ეკითხებიან. ყველანი მოქმედებენ პრეზიდენტის განკარგულებების შესაბამისად. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება ოპოზიციურ პარტიათა და ორგანიზაციათა თვალსაზრისი — საქართველოში მთელი ხელისუფლება (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) უზურპირებულია ერთი ადამიანის მიერ. ამაში დამნაშავეა უზენაესი საბჭო, ოპოზიცია, მთლიანად საქართველოს მოსახლეობა... ამ თემაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ისევ გოგას მივუბრუნდები. ახლობლებსა და თანამებრძოლებს უშუალო კონტაქტის საშუალება აქამდე არ მოგვეცა. ოფიციალურად ორჯერ მივაწოდეთ ტანსაცმელი და საკვები. მოგვივიდა ცნობა, რომ გამოძიება ფიზიკური ზემოქმედების მეთოდებს იყენებდა. ამის თაობაზე, განცხადება შევიტანეთ პროკურატურაში. იმავე გამომძიებელმა გაგვაცნო საქმეში ჩაკერებული გოგას წერილი, სადაც ლაპარაკია, რომ ამგვარი შიში დღესდღეისობით უსაფუძვლოა...

ახლა გიორგი ჭანტურიას შეუღლეს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პრეს-მდივანს ირინე სარიშვილს მოვუსმინოთ:

— როცა გია დაპატიმრეს, ათდღიანი სანქცია გაიცა, ვადა დიდი ხანია ამოიწურა. მე შევხვდი მთაწმინდის რაიონის პროკურორს, გიასაც ვესაუბრე. გავარკვიე, რომ სანქცია ხელმეორედ გაიცა, მაგრამ აქამდე ხელმოუწერელია. მოკლედ, სანქცია, ფაქტობრივად არ არსებობს. პროკურატურის გამომძიებელი, რომელსაც სანქციაზე ხელი უნდა მოეწერა, პროტესტის ნიშნად გადადგა. ეს გახლავთ დავით მდინარაძე, მთაწმინდის რაიონის გამომძიებელი. ბოლოს სანქციაზე, უშუალოდ რაიონის პროკურორმა მიჭაშავიძემ მოაწერა ხელი... ამასობაში გია რამდენიმე დღე უკანონოდ იყო დაკავებული. თუმცა, ალბათ, მოახერხებენ და სანქციას ძველი რიცხვით გააფორმებენ. ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა... გამოძიების საქმეში უკვე დევს ორი მოწმის ჩვენება. მე და გიას ბრალად გვედება ბარიკადების აგების ხელმძღვანელობა. ერთ-ერთმა მოწმემ ჩემი გარეგნობა არასწორად აღწერა და მისი ჩვენება უმალ ამოიღეს საქმიდან. სხვათა შორის, ორივე მოწმე „მრგვალი მაგიდის" წევრია, ორივე მამაკაცია. ერთ-ერთს არ დუუმალავს და ჩვენებაში დაწერა, მთავრობის სახლის წინ კარავში ვმორიგეობო... ქალაქში ხმა გავრცელდა, გია ძალიან ცუდ პირობებშიაო. ეს არ არის მართალი. გიამ პირადად მითხრა ამის შესახებ. იქვე გავიგე, რომ მოუტყუებიათ — შენი მეუღლე ბარიკადებთან მოკლესო და ამის გამო გამოუცხადებია შიმშილობა. იმ დღეებში მეც გამოვაცხადე მშრალი შიმშილობა და მაშინ მომცეს გიასთან შეხვედრის უფლება. შიმშილობის გამო ჯანმრთელობა შეერყა. დანარჩენი ყველაფერი რიგზეა.

გზა აეგნათ?

30 სექტემბერს, გვიან ღამით, საქართველოს ტელევიზიის მისასვლელთან (სასტუმრო „აჭარის" მხრიდან) გვარდიელებმა დააკავეს ავტობუსი (35-35 ბრე), რომელშიც იჯდა თოფებითა და პისტოლეტებით შეიარაღებული 8 მილიციონერი. ისინი ტელევიზიის შენობაში შეიყვანეს და ახსნა-განმარტება მოსთხოვეს.

ჩვენ წალკის მილიციის რაიონულ განყოფილებაში ვმუშაობთ, — თქვა ლეიტენანტმა სპირიდონ ჩილოვმა, — დილით მივიღეთ დავალება თბილისში ჩამოვსულიყავით და თვისუფლების მოედნის ტერიტორიაზე დამეკავებინა ერთ-ერთი სპატრულო პოსტი... ტელევიზიასთან შემთხვევით აღმოვჩნდით — ავტობუსის მძღოლს გზა აეგნა.

სადან სანადირო თოფები? — არ ვიცი, არ ვიცი, თოფები ავტობუსში დამხვდა, — მხრები აიჩეჩა, ლეიტენანტმა ჩილოვმა.

აი, რას გადმოსცემს ამ დღეებში საქართველოს რადიო:

ჩვენ გავდივართ პირდაპირ ეთერში: პირდაპირ, ეს არ იწერება. ახლა თქვენ ისმენთ, მე აგერ აქ ვზივარ. მე ახლა რომ ვინმემ, რომ შემოვარდეს ვიღაცა და რაღაცა დამარტყას, მე რომ დავიკვლებ, ეს იქნება არა ჩაწერილი, არამედ პირდაპირ მართლაც მოხდება.

როდესაც თბილისის „დინამომ" აიღო პირველი ადგილი ათას ცხრაას ოთხმოცდაერთ წელს, თუ რაღაც ევროპის რომელიღაც თასი აიღო, თქვენ გახსოვთ ყველას, რომ როდესაც ჩამოვიდნენ ისინი აეროპორტში და შემდეგ სტადიონზეც შეისვა ხალხმა მხრებზე ეს ჩვენი ფეხბურთელები და მთელი წრე შემოატარეს მეგობრები, ბოლო ბატონი ზვიდი 26 მაისს შარშან მხრებზე შეისვეს, ალბათ, — რამდენი? ალბათ, ოცდაათ წამს იყო? — შეისვეს მხრებზე მისმა მოყვარულმა ადამიანებმა, ამაზე ატყდა უზარმაზარი აჟიოტაჟი. როგორ თუ, აი, დიქტატორი. დიქტატორი არის კაცი, რომელიც ვიღაცას ეტყვის მთარახის და იმის მუქარით — დაიჩოქეთო, მხრებზე უნდა შეგაჯდეთო, მაგრამ პირიქით, შემდეგ უბრალოდ მდგომარეობაში იყო ეს და პირიქით გაითავისუფლა თავი, დამსვეთ მიწაზეო, კაცმა თქვა. ესე იგი დიქტატორი არ არის. ეს არის სიყვარულის გამოხატულება. თუკი შეიძლება, რომ მაგალითად, დავით ყიფიანი შევისვათ მხრებზე და ვატაროთ აქეთ-იქეთ იმიტომ, რომ მან, ბოლოს და ბოლოს რა გააკეთა — ბერთს გარტყა ფეხი უკეთესად, ვიდრე რომელიღაც გერმანელმა, ხომ. ეს ხომ პატარა ამბავია. ამის გულისათვის თუ შეიძლებოდა დათო ყიფიანის — სხვათა შორის, ჩვენს ოპოზიციაში დგას ახლა, იქით, — თუკი დათო ყიფიანი შევისვეთ მხრებზე, კაცო, ამ დროს ზვიად გამსახურდიამ ჩვენ მიგვიყვანა აი, აქამდე, თავისუფლების კარიბჭემდე მიგვიყვანა, ხო, რატო არ შეიძლება ის? (შევისვათ მხრებზე).

ხალხს იმიტომ უყვარს ზვიად გამსახურდია, რომ ხალხი მას უბრუნებს იმ სიყვარულს, რა სიყვარულითაც ზვიად გამსახურდიას უყვარს ქართველი ხალხი. ეს ჩანს მის ყველა სიტყვაში, ეს ჩანს მისი წიგნების ყოველ ფურცელზე და ამასთანავე ჩანს რა — ახლა მე ვიღაც უცხოელი კორესპონდენტი შემეკითხა, კერძოდ რატომ უყვარს ხალხს ზვიად გამსახურდია — გარდა იმისა, რომ აი, რომ თვითონ ბატონი ზვიადის სიყვარულს უკან უბრუნებს ხალხი, გარდა ამისა, ამ კაცში, ისევე როგორც სულმნათ მერაბ კოსტავაში, ქართველმა ხალხმა დაინახა, (და ეს არის სიყვარულის საფუძველი) დაინახა პოლიტიკოსები, რომელნიც არიან ღვიძლიშვილი ქართველი ხალხისა. რას ნიშნავს ეს იცით? მაგალითად უამრავი პოლიტიკოსი და ოპოზიციონერი, რომელიც ახლა ბატონ ზვიადს, ესე იგი, ებრძვის, ძალიან იოლად შეეკიძლია წარმოვიდგინოთ საფრანგეთში, ინგლისში, და იქ, ისინი არხეინად განაგრძობენ თავის პოლიტიკურ მოღვაწეობას. ძალიან მშვიდად იქაც იქნებიან, ისევე, ესე იგი, პოლიტიკოსები. მაგრამ ეს ორი კაცი — მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია წარმოუდგენელია საქართველოს გარეშე. ისინი ყოველი ძარღვით, სისხლის ყოველი წვეთით, ყოველი ფიქრით, ყოველი ოცნებით არიან დაკავშირებული საქართველოსთან. მათში საქართველოს მთელი ისტორია სუნთქავს, საქართველოს მთელი ტერიტორია, საქართველოს ყოველი გოჯი მიწა, ამ ორი ადამიანისათვის არი ნაცნობი, ღვიძლი. აი, ამიტომ უყვარს ხალხს ისინი.

ჩვენ ნათესავი არა გვყავს დედამიწაზე. ფრანგს იტალიელი ჰყავს ნათესავი, რუმინელიც მისი ნათესავი, ინგლისელს გერმანელი ჰყავს ნათესავი, ირანელს ავღანელი, ჩინელს იაპონელი და ასე შემდეგ. ჩვენ ვართ ერთად ერთი მართლა ობოლი.

მეგობრებო, ძალიან სასიხარულოა აი, ასეთი დიალოგი რადიომსმენელებთან. ტელეფონზე რეკავენ, ესე იგი, „ვაჩერეთ პეტრიაშვილი". ეს არის მეგობრები ძალიან დიდი ხანია გაისმის ეს მოწოდებები, მე რომ გამაჩერონ, თუმცა ჩემი გაჩერება რა საჭიროა ასე, ადგეს, ვისაც ეს არ მოსწონს... — თვითონ გაჩერდეს (დიქტორი ბატონი თამაზი) — არა, შემეკამათოს.

თქვე დალოცვილებო, კი ბატონო, არ მოგწონთ თქვენ მე რომ ზვიად გამსახურდიას გვერდით ვდგავარ, მაგრამ ჩემზე ლაპარაკი, ესე იგი ნიჭიერზე თუ უნიჭოზე, მხოლოდ მას შემდეგ უნდა მოხდეს, როდესაც თქვენ წაიკითხავთ იმას. ამიტომ, რადგან თქვენ ახლა ჩემს ლექსებს ახლა არ დაუწყებთ ძებნას, მე მინდა რამდენიმე ლექსი წაგიკითხოთ თქვენ და შემდეგ უკვე მოგეცემათ საშუალება ბატონი პეტრიაშვილი, რომ ვთქვათ მე ვარ უნიჭო, თუ არა ვარ. და ვინ უდგას გვერდში ქართველი ხალხის მიერ არჩეულ ხელისუფლებას და პრეზიდენტს ჩემი სახით. და კიდევ ერთი საკითხიც: ვარ თუ არა მე მაინტერესებს, ინტელიგენტი? აი, თქვენ თქვენს თავს ინტელიგენტებს ეძახით და ინტელიგენტი არის გონებრივი შრომით მომუშავე, ესე იგი, კაცი, რომელიც გონებრივ შრომას ეწევა და ეს ჩემი შრომა არის თუ არა შრომა?"

აი კიდევ მოვიდა ერთი წერილი, პეტრიაშვილს გაღაეცით არ მიატოვოს ლაპარაკი. აი, ჩემმა მეგობარმა, რომელიღაცამ... კიდევ კონსერვატორიის სტუდენტებმა დარეკეს, რომ არ მიატოვოს საუბარიო.

„გამსახურდიას მაგის მეტი პოეტი აღარ დარჩა გვერდით, მაგ დებილის მეტი?" მეგობრებო მე შემიძლია გაკიაარო. სამედიცინო შემოწმება, დებილი ნამდვილად არ გახლავართ, ოცი წიგნის ავტორი ვარ და ამ ოც წიგნს უამრავი მკითხველი ჰყავს და ისინი მე დებილად ნამდვილად არ მიმიჩნევენ.

შეხვედრა სილაევთან

საბჭოთა სპორტის სტრუქტურები იშლება, მიმდინარეობს პოზიციათა შეჯერება, ურთიერთობათა ახალი გზების ძიება. ამ მიზნით სხრკ სახალხო მეურნეობის ოპერატიული მართვის თავმჯდომარეთან ივან სილაევთან გაიმართა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სპორტის მესვეურთა შეკრება. ამ შეკრებაზე საქართველო დამკვირვებლის როლში იყო. რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროდან წარგზავნილნი იყვნენ მინისტრის მოადგილე ჯანო ბაგრატიონი და მთავარი სპორტული სამმართველოს უფროსი რევაზ აიწურაძე.

როგორც ბატონმა ჯანო ბაგრატიონმა გვითხრა შეკრება ნაცვლად 27 სექტემბრისა, შაბათს, 28 სექტემბერს გაიმართა, რამაც რესპუბლიკათა წარმომადგენლებს საშუალება მისცა წინასწარ შეხვედროდნენ ერთმანეთს. შეხვედრას საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ანატოლი რუსაკი უძღვებოდა. აღსანიშნავია, რომ მოსკოვს არ ჩავიდნენ სამი რესპუბლიკის ლიტვის, ლატვიის და სომხეთის წარმომადგენლები. შეხვედრის ძირითადი თემები იყო, ცენტრის მიერ რამდენიმე ხნის წინ რესპუბლიკებში დაგზავნილი სპორტული თანამშრომლობის ხელშეკრულების განხილვა, საკავშირო სპორტკომიტეტის გარდაქმნა (აპირებენ რესპუბლიკათაშორისი სპორტკომიტეტის შექმნას, რომელიც საკავშირო მთავრობისგან კვლავ მის ბიუჯეტზე ყოფნასა და სახელმწიფო ბეგარის შემცირებას მოითხოვს) და რესპუბლიკების ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის საკითხი. რესპუბლიკებმა მოითხოვეს, რომ ცენტრმა მათ სოკ-ში თუ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში შესვლას ხელი არ შეუშალოს, ამასთან ისინი დათანხმდნენ ბარსელონის ოლიმპიადაზე საბჭოთა დროშით გამოსვლას. სხრკ სპორტკომიტეტმა კიდევ ერთხელ განაცხადა თანხმობა იმის თაობაზე, რომ მომავალში, საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ყველა რესპუბლიკა გაწევრიანდეს, როგორც ცალკე სახელმწიფო. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა პოზიციას დიკავებს თავად სოკ-ი.

მეორე დღეს სილაევთან შეკრებაზე მოთათბირეს შეკრებარამდენიმე სპორტსაზოგადოების ხელმძღვანელი [illegible] სპორტსმენი. ივან სილაევს თხოვეს, რომ მან იკისროს შუამავლობა პრეზიდენტ გორბაჩოვსა და სპორტის მესვეურებს შორის. სილაევმა რესპუბლიკათა წარმომადგენლებს ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა. შეკრებაზე აღნიშნეს რომ ცენტრი აპირებს სახელმწიფოთა ღია ჩემპიონატების მოწყობას (იგულისხმება ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები და ალბათ უცხოეთის ქვეყნებიც. თქვეს, რომ მათში მონაწილეობას ბალტიისპირელებიც მიიღებენ. ამ იდეას ყველა მონაწილემ მხარი დაუჭირა.

ბატონმა ჯანო ბაგრატიონმა აღნიშნა, რომ საკავშირო სპორტკომიტეტის წარმომადგენლები გაგებით მოეკიდნენ საქართველოს წარგზავნილების პოზიციას და დიდი მადლობა გადაუხადეს დამკვირვებლად ჩასვლისათვის.

ილია სურგულაძე

ეს ჩემი პოზიციაა

გაიოზ დარსაძე ლენინგრადის „ზენიტის" დუბლშემადგენლობიდან მახსოვს. დღეს იგი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო განყოფილების უფროსი ინსტრუქტორია. ჩვენი ყოველ კერძო საუბარი ქართული ფეხბურთის პრობლემებს ეხება და თავდა გაიოზის დაჟინებული მოწოდებით „სარბიელისა" და საერთოდ პრესისადმი, მხარში ამოუდგეთ ფეხბურთის ფედერაციას. ბუნებრივია, ჩვენი საგაზეთო საუბარი იმავე თემას შეეხო.

— თავდაპირველად გეტყვით თუ როგორ დავიწყე მუშაობა ფედერაციაში — თქვა გაიოზმა. — უმაღლესი სასწავლებელი ლენინგრადში დავამთავრე. ჯერ დიპლომიც არ მქონდა დაცული, რომ თბილისში ჩამოსულს ნოდარ ახალკაცი შემხვდა, რომელსაც პირადად არ ვიცნობდი. წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც მან ჩემს შესახებ ყველაფერი დაწერილებთ მიამბო. ე.ი. ბატონი ნოდარი ყველ ქართველ ფეხბურთელზე ამომწურავ ინფორმაციას აგროვებდა. სწორედ მაშინ შემომთავაზა მან ფედერაციაში მუშაობა. ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო. ვინ მიცნობდა მაშინ? თავად განსაჯეთ, რამდენიმე წლის წინ „ზენიტში" ცხრა თავდამსხმელი ვიყავით: ჟელუდკოვი, დმიტრიევი, კლემენტიევი, სალენკო, ჩუხლოვი, გერასიმოვი, დანილოვი, კანიშჩევი და მე. ჩემთვის ასეთი კონკურენცია ძნელი იყო. ქართველი ორი თავით ძლიერი უნდა ყოფილიყავი, რომ ძირითად შემადგენლობაში გეთამაშა, არადა უფროსი მწვრთნელი პაველ სადირინი უკვე მამზადებდა საამისოდ. ამ დროს გუნდში მოხდა „პუტჩი". სადირინი გაუშვეს და მოიყვანეს გოლუბევი, რომელსაც თავიდანვე ეტყობოდა, რომ ამოცანას თავს ვერ გაართმევდა. მე და მეკარე პრიხოდკომ კუერთგულეთ სადირინს და ახალ გუნდში, ხერსონის „კრისტალში" წავყევით. იქ მეორედ გამიწყდა აქილევსის მყესი და იძულებული გავხდი ფეხბურთისათვის თავი დამენებებინა. აი, ამის შემდეგ მზადება ახალკაცი და თანამშრომლობას მთავაზობს...

— მას მერე ერთი წელი გავიდა, ალბათ ბევრი რამ თქვენს თვალწინ და თქვენი მონაწილეობით გაკეთდა.

— ყველაფერი ნულიდან დაიწყო და კოლოსალური სამუშაო შესრულდა. შეუძლებელია ეს არ დაინახო. ასეთ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში ფედერაცია სახელმწიფო დოტაციაზე არ არის. შემოღობილია მოედანი. ამ სამუშაოს ჩატარება ფიფა-ში შესვლის შემდეგ მაინც მოგვიხდებოდა და თუ სამინელ ინფლაციას გვითვალისწინებთ, აშკარად მოვიგეთ. სტადიონებიც უფრო მოვილილი გახდა. გადავედით შემოდგომა-გაზაფხულის პროგრესულ სისტემაზე. სამუშაოდ მოიზიდეს მაღალკვალიფიციური კადრები: ნიკაძე, სულაქველიძე, შენგელია, კოსტავა, ნორაკიძე და სხვა. უბენნინობისა და სხვა გაჭირვების დროს მუშაობა არ შეწყვეტილა. მსაჯები და ინსპექტორები აზერხებდნენ ერთი ქალაქიდან მეორეში ჩასვლას. ჩატარდა უდიდესი სასელექციო სამუშაოები. შეირჩა პერსპექტიული ფეხბურთელები, რომელთა უმრავლესობა დღეს უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებში თამაშობს. გრძელდება მუშაობა მსაჯთა დონის ასამაღლებლად. შევიძინეთ ვიდეოაპარატურა მათთვის სემინარების ჩასატარებლად. სემინარები ჩაუტარდათ მწვრთნელებსაც, რომელშიც მონაწილეობდნენ თავად ნოდარ ახალკაცი, დავით ყიფიანი, ნოდარ აკობა, ირაკლი გორგოშიძე, ალექსანდრე კოტრიკაძე. მომავალში მოვიწვევთ უცხოელ სპეციალისტებსაც. წაკითხულ იქნა ლექციები სამეცნიერო-მეთოდურ, სამედიცინო და ფსიქოლოგიურ მომზადებაში. კლუბებს ყოველნაირ დახმარებას ვუწევთ სპორტული ფორმისა და ინვენტარის შეძენაში. შედგენილია ნაკრები გუნდები, რომლებიც ბევრი საკლუბო გუნდის მსგავსად, მიუხედავად იზოლაციისა, გავაგზავნეთ საერთაშორისო შეხვედრებზე. უმაღლესი ჯგუფის გუნდებში მივლინებული იყვნენ თანამშრომლები, მათი მუშაობის შესამოწმებლად და კონსულტაციების გასაწევად. ვუმეგობთ გაზეთს და მრავალი სხვა.

— ფედერაციას ერთ-ერთ მთავარ პრეტენზიად გუნდების რაოდენობას უყენებენ. ნუთუ შეიძლება საქართველოში ასზე მეტი პროფესიული გუნდი იყოს?

— ეს გუნდები პროფესიული არ არიან, მათ შეიძლება არამოყვარული ვუწოდოთ. პროფესიული კლუბი სულ სხვა ცნებაა. სანამ ჩვენ იზოლაციაში ვართ, ფეხბურთელებს ოფიციალური მატჩები ჭირდებათ. ყველას, ვისაც ფეხბურთის თამაში უყვარს, ჩვენ ამის საშუალებას ვაძლევთ. ამან მეტი შედეგი გამოიღო, მაგალითად „მრეტები", „არმაზი-90", „ნაფარეული". იმავდროულად სუსტი კლუბები თავისით იშლებიან. ვერ ძლებენ ისინი, ვინც ყოველდღე არ იბრძვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და სხვა პირობების გასაუმჯობესებლად.

— კეთილი, ერქვათ მათ არამოყვარული გუნდები, მაგრამ ასზე მეტ არამოყვარულ გუნდს, ხომ იმდენივე არამოყვარული მწვრთნელი ჰირდება?

— გეთანხმებით, დღეს ჩვენში მწვრთნელთა კვალიფიკაცია დიდი პრობლემაა, მაგრამ ბევრ გუნდში ფეხბურთის ფანატიკოსები მუშაობენ, რომელთან უნდათ რომ ისწავლონ. ისინი დადგებიან კიდეც კარგი მწვრთნელები, თორემ მგლის შიშით ფარა ვის გაუწყვეტია. სწორედ ამისთვის ტარდება სემინარები და სწორედ ამისთვის არის საჭირო, რომ ფედერაციას ნორმალურად მუშაობის საშუალება მისცენ.

— ისევ პროფესიონალიზმს დავუბრუნდეთ. აპირებს ფეხბურთის ფედერაცია საქართველოს პროფესიული ლიგის შექმნას?

— ამისათვის, ჯერ ქვეყნის პარლამენტმა უნდა მისცეს ფეხბურთელს პროფესიონალის სტატუსი. პროფესიული გუნდის სტატუსს კი ის გუნდები მიიღებენ, რომლებიც ამისათვის გაირკვევიან და პროფესიული გუნდის ყველა ნორმას დაკმაყოფილებენ.

— თუ ასევე გუნდი გაისარჯა?

— მაშინ ასევე მიიღებს. რა არის აქ ალოგიკური?

— თქვენმა ერთმა თანამშრომელმა, უმაღლეს ჯგუფზე საუბრისას მითხრა, აქ 20 გუნდი იმიტომ გვყავს, რომ ამით ფედერაციის სალაროში მეტი ფული ირიცხება, ეს კი საშუალებას გვაძლევს ნაკრები გუნდებიც შევინახოთ და სხვა პრობლემებიც მოვაგვაროთო. მაშინ სადაც 20, იქ 22, 24-განა მეტი ფული არ შემოვა?

— ეტყობა სწორად ვერ გაიგეთ მისი ნათქვამი. შემოსული თანხა ძირითადად მსაჯებისთვის არის. ადრე ისინი თამაშში 5 მანეთს იღებდნენ, დღეს — 150-ს. ცხადია ფული ნაკრებსაც ჭირდება. რაც შეეხება უმაღლეს ჯგუფში გუნდების რაოდენობას, ის შეიძლება იყოს, ვთქვათ 40 ან 10, მაგრამ ეს ოპტიმალური არ იქნება. ფიფა-ში და უეფა-ში შესვლამდე ოპტიმალურია 20 გუნდი.

— ფედერაციას თანამშრომელთა სიმრავლესაც საყვედურობენ.

— სწორი არ არის თითქოს ჩვენთან 62 თანამშრომელი იყოს. შესაძლოა არის 62 საშტატო ერთეული, მაგრამ ყველა დაკავებული არ არის. ჩვენს შორის კი არიან გაზეთ „ქართული ფეხბურთის" თანამშრომლები (12 კაცი), ბუღალტერია, კანცელარია, დარაჯები, დამლაგებლები, მძღოლები და ა.შ. იმასაც გვსაყვედურობენ, თქვენთან ძველი თაობის ხალხი მუშაობსო. ჯერ-ერთი ამას ძველივე თაობის ხალხი გვსაყვედურობს, მეორეც უდანაშაულოს დასჯა დემოკრატიის ელემენტარული დარღვევაა, არადა მათი სამსახურიდან გაშვება დასჯაა და მეტი არაფერი. სხვათა შორის გაზეთ „ლელოში" ბევრი რამ ტენდენციურად იყო ასახული, რამაც მორალური ზარალი მოგვაყენა. თანამშრომლებში აზრიც კი შეიქმნა, როგორც ეს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ხდება, რედაქტორს სასამართლოში ხომ არ ვუჩივლოთო. მადლობა ღმერთს იმავე გაზეთში 24 სექტემბერს „ჯგუფური წერილიც" გამოჩნდა, სადაც მხარს გვიჭერენ. თავად ნოდარ ახალკაცი უდიდესი დემოკრატია. რა ხანია მის წინააღმდეგ აკრძალულ ილეთებს იყენებენ, ის კი ჩუმად არის. ქართველებს ერთი ცუდი ჩვეა გვაქვს, სანამ კაცი ცოცხალია არ კეთურთხილდებით, მერე კი თავში ხელებს ვიცემთ. გვიჯობს ამ კაცს ახლავე გავუფრთხილდეთ. პირადად მე ვაცხადებ, რომ შესაძლოა ჩემი წასვლით ბევრი არაფერი დაშავდეს, მაგრამ იმ დღეს, როცა ახალკაცი წავა, მეც განცხადებას დავწერ. ეს ჩემი პოზიციაა.

— გაიოზ, საუბრის ბოლოს, ისევ თქვენზე მინდა გკითხოთ. თქვენ საქართველოს ნაკრებს კიშინოვში ახლდით როგორც მწვრთნელი. ბატონმა გიგა ნორაკიძემაც კარგად დაგახასიათათ. მწვრთნელობას აპირებთ?

— ეს ჩემი იცენაა.

ესაუბრა ილია ბაბუნაშვილი

ორი ინტერვიუერთ კაბინეტში

ვარშავაში ჩასვლისთანავე ჩემს პოლონელ კოლეგას, პოლონეთის სპორტულ ჟურნალისტთა კლუბის ხელმძღვანელს ჭენრიკ ურაშს ვთხოვე, იქნებ კაზიმეჟ გურსკისთან დამაკავშირო, ინტერვიუს აღება მინდა-მეთქი. ჭენრიკი ყურმილს დასწვდა, გურსკის მდივანს დაელაპარაკა, მერე მომიბრუნდა და მითხრა: ახლავე უნდა წავიდეთ, გურსკი გველოდება, დრო ცოტა აქვს, ერთ საათში ფედერაციის სხდომა იწყებაო... თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის შტაბ-ბინის კარი შეეღაღეთ. გურსკი დერეფანში შემოგვეგება და თავაზიანად მიგვიპატიჟა „ავის კაბინეტში.

კაზიმეჟ გურსკი. ეს სახელი კარგად არის ცნობილი ფეხბურთის სამყაროში. სწორედ მასთან არის დაკავშირებული პოლონური ფეხბურთის ყველაზე თვალსაჩინო წარმატებანი, წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს, შემდეგ პოლონეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე მუშაობდა, სამი თვის წინ კი ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს. გურსკის წლეულს, მარტში შეუსრულდა 70 წელი, თუმცა თავს მხნედ გრძნობს და დიდ საქმეს არის შეჭიდებული.

— პან კაზიმეჟ, თუ საიდუმლო არ არის, რა საკითხების განხილვას აპირებთ თქვენი ფედერაციის დღევანდელ სხდომაზე?

— დღის წესრიგის უმთავრესი საკითხი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მზადებაა. ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ნოემბერსა და დეკემბერში ორი ძნელი და პრინციპული მატჩი ელის. 16 ნოემბერს პოზნანში ირლანდიის ნაკრებს ვუმასპინძლებთ, 13 დეკემბერს კი ინგლისის გუნდი უნდა მივიღოთ. თუ ორივე შეხვედრის მოგება შევძელით, ევროპის ჩემპიონატის ფინალში ვითამაშებთ. ამის გაკეთება იოლი არ არის, მაგრამ, ვიმედოვნებთ, ყველაფერი რიგზე იქნება. ყოველ შემთხვევაში, უბრძოლველად არაფერს დავთმობთ. უფრო საიმედო პერსპექტივა აქვს ჩვენს ოლიმპიურ გუნდს, რომელიც ასევე შესარჩევ ტურნირში მონაწილეობს და უკვე ოთხი შეხვედრა მოიგო. ამას გარდა, პოლონეთის სამი გუნდი ჩაება ევროპის საკლუბო ტურნირებში. ვერ გეტყვით, პირველი მატჩების შედეგებით კმაყოფილნი ვართ-მეთქი, თუმცა ორი კლუბი ინარჩუნებს მეორე ეტაპზე გასვლის შანსს (ეს საუბარი 26 სექტემბერს შედგა — ე.ბ.)... ფედერაციის სხდომაზე ეროვნული ჩემპიონატის თაობაზეც გვექნება საუბარი. აქაც ბევრი პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი.

— თქვენ ადრე პოლონეთის ნაკრებს ხელმძღვანელობდით, დღეს კი ფედერაციის პრეზიდენტი ბრძანდებით. რომელი პოსტია უფრო საპასუხისმგებლო?

— უწინარესად იმას გეტყვით, რომ ფეხბურთში მუშაობა უმაღური საქმეა. რიცა გუნდი იგების, ჟურნალისტებიც და ოფიციალური პირებიც პითეტებს არ იშურებენ, მზად არიან ცაში აგიყვანონ, მაგრამ საკმარისია ოდნავ წაიბორძიკო, უმალ მიწასთან გაგასწორებენ. მწვრთნელი ამისთვის მზად უნდა იყოს და ნერვებს გაუფრთხილდეს. როცა ნაკრებს ეხელმძღვანელობდი, ბევრი არამკითხე ერეოდა ფეხბურთის საქმეებში, „ზემოთ" მიბარებდნენ, მირეკავდნენ, საწვრთნელ ბაზაზე მოდიოდნენ. ერთი სიტყვით, მოსვენება არ მქონდა. როგორი წესი თავს ვუკრავდი, „რჩევა-დარიგებისთვის" მადლობას ვუხდიდი და ჩემს საქმეს ვაგრძელებდი. ხსვათა შორის, ფედერაციაც ამ დღეში იყო, ფეხბურთის საკითხები რატომღაც ქვეყნის უმაღლეს ინსტანციებში იხილებოდა... საბედნიეროდ დრო შეიცვალა, ახლა სულ სხვა ვითარებაა. დღეს ფეხბურთის ბედი ფედერაციაში, უშუალოდ კლუბებში წყდება.

— იმის თქმა გინდათ, რომ თქვენი ფედერაცია არავის წინაშე ანგარიშვალდებული არ არის?

— ჩვენ ანგარიშვალდებულნი ვართ მხოლოდ ფეხბურთის გულშემატკივართა წინაშე. სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო, სხვა ინსტანციები ფეხბურთის საქმეებში ვერ ერევიან, ყველა საკითხი ავტონომიურად წყდება.

— მათ შორის ფინანსურიც?

— ფინანსურიც. ფედერაცია ერთ ზლოტსაც არ იღებს სახელმწიფოსაგან.

— ადრე როგორ იყო?

— ადრე სახელმწიფო გვაფინანსებდა და რომ იტყვიან, „მუსიკასაც ის უკვეთავდა".

— იქნებ შემოსავლის წყაროები დაგვისახელოთ...

— რეკლამა, ტელეკომპანიები, სპონსორები, კომერციული საქმიანობა... ამას გარდა, ასამდე პოლონელი ფეხბურთელი საზღვარგარეთ თამაშობს და ფედერაციის ანგარიშზეც შემოდის პროცენტები.

— თქვენს კლუბებში რამდენი უცხოელი ფეხბურთელი თამაშობს?

— 88. ერთის გარდა, ყველა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელია.

— გურულსაც საბჭოთა ფეხბურთელად თვლით?

— ჯერჯერობით ასეა (იცინის). თქვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა აღიარებული არ არის, თუმცა, ალბათ, ეს დროც მოვა. პოლონეთის პრესა ყოველდღე ბეჭდავს საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ამსახველ მასალებს. იმედია, დემოკრატია გაიმარჯვებს. პოლონელთმა ათი წელიწადი მოანდომა დემოკრატიისთვის ბრძოლას...

— ალბათ, საქმის კურსში ბრძანდებით: უკვე მეორე წელია საქართველოს საფეხბურთო გუნდები არ მონაწილეობენ საკავშირო ჩემპიონატებში, რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაცია ფიფა-სა და უეფა-ში გაწევრიანებისათვის იბრძვის.

— ამაში დასაძრახს ვერაფერს ვხედავ. პირიქით — ქართული ფეხბურთი, ჩემი აზრით, იმსახურებს საერთაშორისო აღიარებას, თუმცა ამას გარკვეული დრო დასჭირდება. ყველაფერი მაინც პოლიტიკაზეა დამოკიდებული. როგორც კი საქართველო დამოუკიდებელი ქვეყნის სტატუსს მიიღებს, ფეხბურთის საკითხებიც ავტომატურად გადაწყდება.

— ქართულ ფეხბურთთან რაიმე კონტაქტი თუ გაქვთ?

— ადრე უფრო ინტენსიური კავშირები მქონდა. კარგად მახსოვს ანთაძის, ღოღობერიძის, მესხის, შეტრეველის და სხვათა თამაში. მახსოვს თბილისის დინამოს გამარჯვება ევროპის თასზე. მაშინდელი „დინამო" მართლაც დიდი გუნდი იყო. 1982 წელს, როცა „ლეგიაში" ვმუშაობდი, სწორედ თბილისის „დინამოსთან" დავმარცხდით და გამოვეთიშეთ თასისთვის ბრძოლას.

— პან კაზიმეჟ, მოდით, იმედი დავიტოვოთ, რომ პოლონური და ქართული ფეხბურთის [illegible] კვლავ შეიყრება... გმადლობთ ინტერვიუსთვის!

ვიდრე კაზიმეჟ გურსკის გამოვემშვიდობებოდი, კაბინეტში ახალგაზრდა, სიმპათიური კაცი შემოვიდა.

— გაიცანით, მიშელ ლისტკევიჩი, ჩვენი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, ცნობილი მსაჯი, — მეუბნება ბატონი კაზიმეჟი,— თუ ხერვილი გაქვთ, გაესაუბრეთ.

უარს როგორ ვიტყოდი. ისევ მოვიმარჯვე დიქტოფონი.

— თუ არ ვცდები, თქვენ შარშან იტალიის მსოფლიო ჩემპიონატზე იმსაჯეთ, — ვეკითხები.

— ეს ჩემთვის, როგორც მსაჯისთვის, პირველი მსოფლიო ჩემპიონატი იყო. ფიფას მსაჯთა კომისიამ რვა თამაში მომანდო და როგორც შემდეგ გაზეთები წერდნენ, ეს სარეიტინგო მაჩვენებელი აღმოჩნდა... უფრო ადრე, გერმანიაში ევროპის ჩემპიონატს ვემსახურებოდი, ხეულის ოლიმპიურ თამაშებზეც ვიყავი.

— რამდენი წლის ბრძანდებით?

— ოცდათვრამეტის. რვა წელია საერთაშორისო არბიტრი ვარ. უკვე ას ოცი საერთაშორისო მატჩი ვიმსაჯე.

— ალბათ, ეროვნულ ჩემპიონატზეც მსაჯობთ.

— რა თქმა უნდა. ჩვენთან ასეთი წესია: მაღალი კვალიფიკაციის მსაჯი ვალდებულია არა მარტო ეროვნულ ჩემპიონატს, არამედ იუნიორთა ტურნირებსაც მოემსახუროს. მე კვირაში ერთხელ მაინც გავდივარ მოედანზე.

— ანაზღაურება როგორია?

— ივლისიდან ახალი ტარიფები დაწესდა. უმაღლესი ლიგის მატჩებზე, მთავარი არბიტრი ერთ მილიონ ზლოტს ღებულობს. ეს დაახლოებით ასი დოლარია. აქვე დავაზუსტებ: ეზისა და კვების ფულს მსაჯი იხდის. ხელზე სამოცდაათ დოლარამდე გვრჩება.

— წლეულს კატოვიცეს გუნდის მატჩი თუ გიმსაჯეთ? ალბათ, მიმიხვდით ამას რატომ გეკითხებით — კატოვიცეში გია გურული თამაშობს.

— ერთი თვის წინ ვიმსაჯე კატოვიცეში, კრაკოვის „ვისლას" ხვდებოდნენ... სხვათა შორის, იმ მატჩში გურული მოედნიდან გავაძევე, უბურთოდ ფეხი გაარტყა მეტოქეს. ამის გამო გურულმა მომდევნო სამი შეხვედრა გამოტოვა. კარგი ფეხბურთელია — მოძრავი, მობილური, მაგრამ, ამავე დროს, იმპულსური და ნერვიული. გურულმა მშვენივრად ითამაშა ევროპის თასების თასზე შოტლანდიის „მოზერეელთან" და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „კატოვიცეს" გამარჯვებაში.

— ხალხი თუ დადის სტადიონზე?

— ორი-სამი წლის წინ სამი-ოთხი ათასი მაყურებელი თუ იკრიბებოდა. ახლა შედარებით უკეთესი ვითარებაა. ჩემპიონატის პრინციპულ მატჩებზე, ათი ათასამდე გულშემატკივარი ვროვდება. როგორც ყველგან, ჩვენთანაც ბლომად არიან ვაი-გულშემატკივრები, ხულიგნობენ, იგინებიან. ამის გამო შეუღლე არასოდეს წამიყვანია სტადიონზე.

— ფედერაციაში რა ფუნქცია გაკისრიათ?

— მსაჯთა კორპუსს ვხელმძღვანელობ, თუმცა საქმე სხვაც ბევრი მაქვს. ხშირად მიძახებენ ფიფა-სა და უეფა-ში, ჩვენი ფედერაციის აღმასკომის წევრი ვარ.

— სულ რამდენი კაცია აღმასკომში?

— თერთმეტი. პრეზიდენტი, ხუთი ვიცე-პრეზიდენტი და ხუთიც რეგიონალური წარმომადგენელი. თვეში ორჯერ ვიკრიბებით... რამდენიმე წუთში მორიგი სხდომა გვქონდა.

— გმადლობთ. მეტს არ მოგაცდენთ.

ელგუჯა ბერიშვილი

ვარშავა — თბილისი.

„სარბიელის" სპეციალური კორესპონდენტი.

თეთრები იწყებენ და.. უპირატესობას აღწევენ

საგანგაშო, ცხადია, არაფერი მომხდარა, აი, გასაკვირი კი იყო, რომ მაია ჩიბურდანიძემ თავისი მეექვსე მატჩი ჩემპიონის გვირგვინისათვის უარყოფითი ბალანსით დაიწყო. სამი ტურის შემდეგ ანგარიში გახლდათ 2:1 20 წლის პეკინელი სტუდენტის სე ჯუნის სასარგებლოდ.

პირველი პარტია, ამას ალბათ ვერც ერთ მხარეს ვერ ვუსაყვედურებთ, მშვიდობიანი, უკონფლიქტო გამოდგა და მეტოქეები ნაადრევად დაუზავდნენ ერთმანეთს. მეორე პარტიაში ბუნებრივია, უფრო აქტიურ ბრძოლას ველოდით. მაგრამ იგი სარეკორდოდ მოკლე გამოდგა: ყაიმი 13 სვლაში.

ასეთი ფრთხილი და გაუბედავი სტარტის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი უჩვეულო პირობებში აღმოჩნდა, რამაც მაშინვე იჩინა თავი მესამე პარტიაში. შუა თამაშში დაშვებული შეცდომის შემდეგ მაია ჩიბურდანიძემ შეწყვიტა წინააღმდეგობა 25-ე სვლაზე. ეს იყო პირველი კრიტიკული მომენტი ამ მატჩში, რომელსაც მოჰყვა მომენტალური რევანში 56-ე სვლაზე და ანგარიშიც გათანაბრდა — 2:2.

მატჩის წინა პრესკონფერენციაზე სე ჯუნმა განაცხადა, რომ მზარეთა შანსები ამ მატჩში თანაბრიაო. განვლილი ოთხის ტურის მიხედვით ჩინელი დიდოსტატის ვარაუდი სავსებით გამართლდა. ანგარიში რომ თავი დავანებოთ მეტოქეებმა შავი ფიგურებით თითო პარტიაში ყაიმს მიაღწიეს, თეთრებით კი ასევე თითო პარტია მოიგეს.

ფორმულა 1

მხოლოდ ორი ეტაპი დარჩა

16-წლიანი შესვენების შემდეგ ფორმულა 1 კვლავ დაბრუნდა კატალონიაში. ამჯერად ესპანეთის „გრან პრის“ მასპინძლობდა მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქი ბარსელონა. რეკონსტრუირებულ ტრასაზე, რომელიც განლაგებულია მონტმელოს ფერდობებზე, ბარსელონას შემოგარენში, კვლავ გაისმა მძლავრი ძრავების გუგუნი. ასეთ ხანგრძლივ მოლოდინს თავისი სერიოზული მიზეზები ჰქონდა. 1975 წლის ესპანეთის დიდი პრიზის გათამაშების დროს გერმანელი მრბოლის როლფ შტომელენის „ლოლა“ ტრასიდან გადავიდა, გადააფრინდა დამცავ ჯებირს და მაყურებლებში ჩავარდა. მაშინ 4 ადამიანი დაიღუპა, ათზე მეტი კი საავადმყოფოში მოხვდა. ტრასა სახიფათოდ სცნეს, „გრან პრის“ გათამაშება ჯერ მადრიდში გადატანეს, შემდეგ კი ჟერეს დე ლა ფრონტერაში, სადაც ბოლო ხუთი წლის მანძილზე ტარდებოდა.

მენსელთან 24-ქულიანი უპირატესობა ხენს აძლევდა იმის უფლებას, რომ დამშვიდებული ყოფილიყო. მენსელს კი სხვა არაფერი დარჩენოდა რომ „ა-ბანკს“ წასულიყო, ამით შეემცირებინა ქულათა სხვაობა. თუ ლიდერსა და მდევარს შორის 20 ქულაზე მეტი იქნებოდა, ხენა ავტომატურად მესამედ ხდებოდა მსოფლიო ჩემპიონი.

იმისათვის, რომ მრბოლებს ჰქონოდათ ახალი ტრასის გაცნობის საშუალება, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ შეცვალა ჩვეული რეგლამენტი და დანაშნა დამატებითი საწვრთნელი რბოლები ხუთშაბათს, 26 სექტემბერს. ექსპერტებმაც და მრბოლებმაც მაღალი შეფასება მისცეს ახ ტრასას, რომელიც, მენსელის თქმით ბევრი. პარამეტრით ჰგავს იმოლას ტრასას, რომელიც საუკეთესოდ ითვლება მსოფლიოში.

აღსანიშნავია ამ ეტაპის სტარტიც. გასახურებელ წრეზე გამოსვლის ნიშანი მრბოლებს, დროშის საშუალებით, მისცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა, რომელიც საპატიო სტუმრის როლში ესწრებოდა რბოლებს. საღამო წრის გავლა მრბოლებს წვიმის ქვეშ მოუხდათ. გერჰარდ ბერგერმა ხრულად გამოიყენა ე.წ. „ფულ-პოზიშენის“ უპირატესობა და მაშინვე წინ გავიდა. მას უკან მიჰყვნენ აირტონ სენა და ნაიჯელ მენსელი. მეორე მოსახვევში ინგლისელს ოდნავ მოუცურდა მანქანა სველ ტრასაზე და მას მიაპყრ შუმახერმაც კი გაუსწრო. თუმცა, მესამე წრეზე მენსელმა კვლავ დაიბრუნა თავისი პოზიცია და ორი წუთის შემდეგ სენას „მაკლარენი“ და ინგლისელის „უილიამსი“ ერთდროულად გამოვიდნენ სწორ მონაკვეთზე, სადაც აშკარად გამოჩნდა „რენოს“ ძრავის უპირატესობა. მენსელმა შეარჩია შესაფერისი მომენტი, გვერდი აუარა ბრაზილიელს და მეორე პოზიციაზე გავიდა. სენას მანქანის ძრავას აშკარად არ ჰყოფნიდა სიმძლავრე. „უილიამსი“ თანდათან ზრდიდა თავის უპირატესობას და ამჯერად ბერგერის „მაკლარენს“ ეწეოდა, რომელიც ჯერ კიდევ ლიდერობდა რბოლას. ამასობაში წვიმამ გადაიღო, ტრასა გაშრა და ათიოდე წრის შემდეგ ჩემპიონის ტიტულის ორივე

ნაიჯელ მენსელი
(დიდი ბრიტანეთი)



დაიბადა 1954 წლის 8 აგვისტოს ატონ ონ სვენში (ინგლისი). მენსელმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცა ჯელას, რომ წინა სამი წლის წარუმატებლობის გამო მისი „ჩამოწერა“ ჯერ ნაადრევი იყო. თუმცა 37 წლის პილოტი მაინც ფიქრობს სპორტული კარიერის დასრულებაზე. ახლა თუ ისევ ნელსონელი სეზონი ერთ-ერთი საუკეთესო მენსელის სპორტულ ბიოგრაფიაში — ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ეტაპით ადრე მან უკვე გაინაღლა მეორე ადგილი. აქვე ვიტყვით რომ 1986,87 წლებშიც იგი მეორე იყო და მაშინაც „უილიამსის“ გუნდში ასპარეზობდა.

ბარსელონის ახალ ტრასაზე მოპოვებული 14 ქულის წყალობით „უილიამსმა“ ერთი ქულით გაუსწრო „მაკლარენს“ და კვლავ საფეხურზე ჩაუდგა კონსტრუქტორთა პირველობას. ეს „უილიამსის“ 51-ე მოგებული „გრან პრი“ იყო. მენსელის ანგარიშზე კი სადღეისოდ 21 გამარჯვებაა 163 რბოლიდან და 358 ქულა.

მაძიებელი თითქმის ერთდროულად შევიდა ბოქსებში ხანგრძლივი საბურავების გამოსაცვლელად. ხენა, თავის მექანიკოსების წყალობით, უფრო ადრე დაუბრუნდა ტრასას და თავის თანგუნდელს დაედევნა. ორი წრის გავლის შემდეგ კვლავ დაიწყო წვიმა და აირტონ სენა კინაღამ გამოეთიშა რბოლას. წამის რაღაც მეასედებში მსოფლიოს შარშანდელმა ჩემპიონმა დაკარგა კონტროლი მანქანაზე, მოუხრიალდა იგი და გაჩინებში აღმოჩნდა. ამასობაში მენსელმა შეძლო ლიდერობის ხელში ჩაგდება და აღარც გაუშვია ხელიდან გამარჯვების შანსი. სველი ტრასის მორიგი „მსხვერპლი“ გახდა ახალგაზრდა გერმანელი მრბოლი მიჰაელ შუმახერი, რომელიც მოსრიალდა და ამით მესამე პოზიცია „დაუთმო“ პროსტს, მეოთხე ადგილზე კი სენამ გადაინაცვლა. ბერგერის მანქანის ძრავა დაზიანდა და ბოქსში შესვლის შემდეგ იგი აღარც დაბრუნებულა ტრასაზე. ამ დროისათვის ნაიჯელ მენსელი უკვე 18 წამით უსწრებდა ალენ პროსტს, რომელმაც მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ამ დროს ბრძოლაში ჩაება რიკარდო პატრეზე. მე-40 წრეზე იტალიელმა მრბოლმა განახორციელა სწრაფი შეტევა, რის შედეგადაც სენამ მეოთხე პოზიციაზე გადაინაცვლა. პატრეზეს კვალში მიყვებოდა ჟან ალეზი. ათიოდე წუთის დაკვნის შემდეგ, 50-ე წრეზე ახალგაზრდა ფრანგმა ძალზე ადვილად გაასწრო მსოფლიო ჩემპიონის „მაკლარენს“. მიუხედავად დიდი სურვილისა, ალეზიმ ვერ შეძლო პატრეზეს გასწრება და გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ავიდა ალენ პროსტი, რომელმაც მეორემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი. პირველი და მესამე ადგილები „უილიამსის“ პილოტებმა დაიკავეს, რამაც საშუალება მისცა ამ გუნდს კვლავ გაესწრო „მაკლარენისათვის“ კონსტრუქტორთა პირველობაზე. შემდეგი ეტაპი გაიმართება სამი კვირის შემდეგ იაპონიაში, „სუზუკას“ ტრასაზე, სადაც, ალბათ, გაირკვევა კიდეც მომავალი ჩემპიონის ვინაობა.

ესპანეთის „გრან პრი“. 29 ოქტომბერი. 65 წრე (308,555 კმ). 70.000 მაყურებელი.

1. ნაიჯელ მენსელი (დიდი ბრიტანეთი, „უილიამს-რენო“) — 1:38.41,541 (197,586 კმ/სთ); 2. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „ფერარი“) — ჩამორჩა 11,331; 3. რიკარდო პატრეზე (იტალია, „უილიამსი“) — 15,909; 4. ჟან ალეზი (საფრანგეთი, „ფერარი“) — 22,772; 5. აირტონ სენა (ბრაზილია, „მაკლარენი“) — 1.02,402; 6. მიჰაელ შუმახერი (გერმანია, „बენეტონი“) — 1.12,468; 7. მაურისიო გუჟელმინი (ბრაზილია, „ლეიტონ-ჰონდა“) — 1 წრით; 8. ირკა ლეჰტო (ფინეთი, „დალარა“) — 1 წრით; 9. ალესანდრო ზონარდი (იტალია, „ჯორდანი“) — 1 წრით; 10. მარტინ ბრანდლი (დიდი ბრიტანეთი, „ბრებჰემი“) — 2 წრით; 11 ნელსონ პიკე (ბრაზილია, „बენეტონი“) — 2 წრით; 12. გაბრიელ ტარკვინი (იტალია, „ფონდმეტალ ფორდ“) — 2 წრით; 13. პიერლუიჯი მარტინი (იტალია, „მინარდი“) — 2 წრით; 14. ჯანი მორბიდელი (იტალია, „მინარდი“) — 3 წრით; 15. ემანუელე პირო (იტალია, „დალარა“) — 3 წრით; 16. სტეფანო მოდენა (იტალია, „ტირელი“) — 3 წრე; 17. სატორუ ნაკაჰმა (იაპონია, „ტირელი“) — 3 წრით. კვალიფიკაცია ვერ მიიღეს: 18. მარკ ბლანდელი (დ. ბრიტანეთი, „ბრებჰემი“) — 49 წრე; 19. ერიკ კომა (საფრანგეთი, „ლიჟიე“) — 36; 20. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „მაკლარენი“) — 32; 21. მიჭელე ალბორეტო (იტალია, „ფოდუფორგი“) — 23; 22. ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია, „ჯორდანი“) — 22; 23. მიკა ჰაკინენი (ფინეთი, „ლოტუსი“) — 5; 24. ივან კაპელი (იტალია, „ლეიტონი“) — 1.ტიერი ბუტსენი (ბელგია, ლამბორჯინი“) და ერიკ ბერნარი (საფრანგეთი, „ლოლა“) — ვერ გაიარეს ერთი წრეც.

საერთო ჩათვლა. კონსტრუქტორები: 1. უილიამსი — 117; 2. მაკლარენი — 116; 3. ფერარი — 52; 4. ბენეტონი — 39; 5. ჯორდანი — 13; 6. ტირელი — 11; 7. მინარდი — 6; 8. დალარა — 5; 9. ლოტუსი — 3; 10. ლოლა — 2; 11-12. ლეიტონ, ბრებჰემი — 1-1.

ბორის მიხაილოვი,
საკადესის კორესპონდენტი.
სპეციალურად „სარბიელისათვის“.

			აშშ	ბრაზილია	საფ.-მარინო	მონაკო	კანადა	მექსიკა	საფრანგეთი	ინგლისი	გერმანია	უნგრეთი	ბელგია	იტალია	პორტუგალია	ესპანეთი	იაპონია	ავსტრალია	სულ
1	აირტონ სენა ბრაზილია	მაკლარენი	10	10	10	10	—	4	4	3	—	10	10	6	6	2			85
2	ნაიჯელ მენსელი დიდი ბრიტანეთი	უილიამსი	—	—	—	6	1	6	10	10	10	6	—	10	—	10			69
3	რიკარდო პატრეზე იტალია	უილიამსი	—	6	—	—	4	10	2	—	6	4	2	—	10	4			48
4	გერჰარდ ბერგერი ავსტრია	მაკლარენი	—	4	6	—	—	—	—	6	3	3	6	3	—	—			31
5	ალენ პროსტი საფრანგეთი	ფერარი	6	3	—	2	—	—	6	4	—	—	—	4	—	6			31
6	ნელსონ პიკე ბრაზილია	बेनეტონი	4	2	—	—	10	—	—	2	—	—	4	1	2	—			25
7	ჟან ალეზი საფრანგეთი	ფერარი	—	1	—	4	—	—	3	—	4	2	—	—	4	3			21
8	სტეფანო მოდენა იტალია	ტირელი	3	—	—	—	6	—	—	—	—	—	—	—	—	—			9
9	ანდრეა დე ჩეზარისი იტალია	ჯორდანი	—	—	—	—	3	3	1	—	2	—	—	—	—	—			9
10	რობერტო მორენო ბრაზილია	बेनेटონი	—	—	—	3	—	2	—	—	—	—	3	—	—	—			8

«ინტერის» მოულოდნელი მარცხი

ოთხშაბათს გამართული განმეორებითი მატჩების შემდეგ ევროპის საკლუბო ტურნირების მონაწილე კლუბების რიცხვი ორჯერ შემცირ ;ა. შეჯიბრებას ისეთი ცნობილი გუნდები გამოეთიშნენ, როგორიცაა „რეინჯერსი“, „ბერდინი“, „მეხელენი“, „ინტერი“.

სენსაციურად დამთავრდა ჩემპიონთა თასის მატჩი გლაზგოში „რეინჯერსსა“ და „სპარტას“ შორის, სადაც გამარჯვებულის გამოსავალენად დამატებითი დროის დანიშვნა გახდა საჭირო. მატჩის ბედი შოტლანდიელი მცველის მიერ საკუთარ კარში გატანილმა გოლმა გადაწყვიტა. ჰოლანდიის ჩემპიონმა „ეინდჰოვენმა“ გაჯირვებით მოუგო თურქეთის „ბეშიქთაშს“, თანაც გადამწყვეტი გოლი დამატებითი დროის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე გაიტანა. შემდეგ წრეში გავიდა ესპანეთის „ბარსელონაც“, თუმცა დამარცხდა როსტოკში „ანზასთან“ (გოლი შპისის ანგარიშზეა). ჰეთ-თრიკი შეასრულა „ანდერლეხტის“ თავდამსხმელმა ნილისმა ციურიხის „გრასჰოპერსთან“ შეხვედრაში.

თასების თასის მფლობელმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მხოლოდ დამატებით დროში შეძლო საბერძნეთის „პანიაიკოსის“ დამარცხება. გოლები გაიტანეს ჰიუზმა და მაკლეარმა. საფრანგეთის „მონაკოს“ მიერ უელსის „სუონსის“ კარში გატანილი 8 გოლიდან 2 ფერალდ პასის ანგარიშზეა, ხოლო კიდევ 2 უელსელებმა საკუთარ კარში გაიტანეს — მეკარე კენდალმა და მცველმა ჰარისმა. ორი ბურთის ავტორია „ვერდერის“ თავდამსხმელი კუნტა. გერმანელმა ფეიხბურთელებმა რუმინეთის „პაკეუს“ კარში ორ მატჩში 11 გოლი გამიტანეს. მადრიდის „ატლეტიკოს“ სტადიონის ბახსნის 25 წლისთავი გუნდმა ნორვეგიის „ფლანენის“ კარში გატანილი 7 გოლით აღნიშნა. შემდეგ წრეში გავიდა გია გურულის გუნდი — კატოვიცეს „გკს, რომელმაც სტუმრად გატანილი გოლის წყალობით მოუგო შოტლანდიის „მაზერუელს“.

უეფას თასის გათამაშებას გამოეთიშა თასის მფლობელი მილანის „ინტერი“. იტალიელებმა ვერაფერი გაწყვეს პორტუს „ბოავიშტასთან“, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ თავს იცავდა და მეტოჭის კართან არც ერთი სახიფათო მომენტი არ შეუქმნია. გერმანიის „ბაერნს“ ძალზე გაუჭირდა ირლანდიის „კორკ სიტის“ დამარცხება. მუნხენელებმა ორი გოლი მხოლოდ მატჩის ბოლო 20 წუთში გაიტანეს (ლაბადია და ციგერი). კვიპროსის „ანართოსისმა“, რომელსაც ვლადიმერ გუცაევი წვრთნის, თითქმის შეუძლებელი მოახერხა — სტუმრად ძირითად დროში დაამარცხა „სტიაუა“ 2:1, მაგრამ დამატებითი დროის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე გაუშვა გოლი და შეჯიბრებას გამოეთიშა.

რამდენიმე მატჩი გუშინ გაიმართა და ჩვენს მიმოხილვაში ვერ მოხვდა. ჭერჭერობით უდანაკარგოდ მიიწევენ წინ ინგლისის, ესპანეთისა და საფრანგეთის გუნდები. მეორე წრის მატჩების წილისყრა დღეს ჩატარდება.

ჩემპიონთა თასი
მეთექვსმეტედფინალი

„ზაგლემბე“ (პოლონეთი) — „ბრონდბიუ“ (დანია)	2:1 (0:3)
„დანდალკი“ (ირლანდია) — „ჰონვედი“ (უნგრეთი)	0:2 (1:1)
„ბარსელი“ (საფრანგეთი) — „უნიონი“ (ლუქსემბურგი)	5:0 (5:0)
„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — „სპარტა“ (ჩეხეთსლოვაკეთი)	2:1 (0:1)
„დინამო“ (კიევი, სსრკ) — ჰიკ (ფინეთი)	3:0 (1:0)
„ჰანზა“ (ობერლიგა, გერმანია) — „ბარსელონა“ (ესპანეთი)	1:0 (0:3)
„პორტადაუნი“ (ჩრ. ირლანდია) — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია)	0:4 (0:4)
„პოლონი“ (კვიპროსი) — „უნივერსიტატეა“ (რუმინეთი)	3:0 (0:2)
„ფლამურტარი“ (ალბანეთი) — „ფოტებორგი“ (შვეცია)	1:1 (0:0)
„როზენბორგი“ (ნორვეგია) — „სამპდორია“ (იტალია)	1:2 (0:5)
„ბენფიკა“ (პორტუგალია) — „ჰამრუნ სპარტანსი“ (მალტა)	4:0 (6:0)
„აუსტრია“ (ავსტრია) — „არსენალი“ (ინგლისი)	1:0 (1:6)
„ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — „ბეშიქთაში“ (თურქეთი)	2:1 (1:1)
„პანათინაიკოსი“ (საბერძნეთი) — „ფრამი“ (ისლანდია)	0:0 (2:2)
„გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) — „ანდერლეხტი“ (ბელგია)	0:3 (1:1)
„ეტერი“ (ბულგარეთი) — „კაზერსლაუტერნი“ (გერმანია)	1:1 (0:2)

თასების თასი
მეთექვსმეტედფინალი

„ეინესი“ (ლუქსემბურგი) — „ნორჩიოპინგი“ (შვეცია)	1:2 (0:4)
„ილვესი“ (ფინეთი) — „გლენავონი“ (ჩრ. ირლანდია)	2:1 (2:3)
„მოზერველი“ (შოტლანდია) — „გკს (პოლონეთი)	3:1 (0:2)
„მონაკო“ (საფრანგეთი) — „სუონსი“ (უელსი)	8:0 (2:1)
„ტოტენჰემი“ (ინგლისი) — „ჰაიდუკი“ (იუგოსლავია)	2:0 (0:1)
„პანიკი“ (ჩეხეთსლოვაკეთი) — „ოდენსე“ (დანია)	2:1 (2:0)
„რომა“ (იტალია) — ცსკა (სსრკ)	0:1 (2:1)
„ბრუგე“ (ბელგია) — „ომონია“ (კვიპროსი)	2:0 (2:0)
„სიონი“ (შვეიცარია) — „ვალიერი“ (ისლანდია)	1:1 (1:0)
„ფერენცვარში“ (უნგრეთი) — „ლევსკი“ (ბულგარეთი)	4:1 (3:2)
„მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი) — „ათინაიკოსი“ (საბერძნეთი)	2:0 (0:0)
„გალათასარაი“ (თურქეთი) — „შტალი“ (ობერლიგა, გერმანია)	3:0 (2:1)
„ვერდერი“ (გერმანია) — „ბაკეუ“ (რუმინეთი)	5:0 (6:0)
„პორტუ“ (პორტუგალია) — „ლა ვალეტა“ (მალტა)	1:0 (3:0)
„ატლეტიკო“ (ესპანეთი) — „ფიუულენგენი“ (ნორვეგია)	7:2 (1:0)
„ფეიენოორდი“ (ჰოლანდია) — „პარტიზანი“ (ალბანეთი)	1:0 (0:0)

უეფას თასი
ოცდამეთოთრმეტედფინალი

„ბაიერნი“ (გერმანია) — „კორკ სიტი“ (ირლანდია)	2:0 (1:1)
„ბ 1903“ (დანია) — „აბერდინი“ (შოტლანდია)	2:0 (1:0)
„ლოზანა“ (შვეიცარია) — „გენტი“ (ბელგია)	0:1 (1:0), პენ. 1:4
„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „სლოვანი“ (ჩეხეთსლოვაკეთი)	1:1 (2:1)
„სპორა“ (ლუქსემბურგი) — „ინტრახტი“ (გერმანია)	0:5 (1:6)
„უტრეხტი“ (ჰოლანდია) — „შტურმი“ (ავსტრია)	3:1 (1:0)
„ტორპედო“ (სსრკ) — „გალე“ (ობერლიგა, გერმანია)	3:0 (1:2)
„დინამო“ (მოსკოვი, სსრკ) — „ვაც იზო“ (უნგრეთი)	4:1 (0:1)
„სპარტაკი“ (სსრკ) — „მიკელი“ (ფინეთი)	3.X (2:0)
„კანი“ (საფრანგეთი) — „შალგეირონი“ (პორტუგალია)	3.X (0:1)
„ტორინო“ (იტალია) — კრ რეიკიავიკი (ისლანდია)	3.X (2:0)
„პეჩი“ (უნგრეთი) — „შტუტგარტი“ (გერმანია)	2:2 (1:4)
„ჟერმინალი“ (ბელგია) — „სელტიკი“ (შოტლანდია)	1:1 (0:2)
„ესტერი“ (შვეცია) — „ლიონი“ (საფრანგეთი)	3.X (0:1)
„ოსერი“ (საფრანგეთი) — „იკასტი“ (დანია)	5:1 (1:0)
„სიგმა“ (ჩეხეთსლოვაკეთი) — „ბანგორ სიტი“ (ირლანდია)	3:0 (3:0)
„ლაზტი“ (ფინეთი) — „ლივერპული“ (ინგლისი)	1:0 (1:6)
„გურნიკი“ (პოლონეთი) — „ჰამბურგი“ (გერმანია)	0:3 (1:1)
„ერებრუ“ (შვეცია) — „აიაქსი“ (ჰოლანდია)	0:1 (0:3)
„ტრომსე“ (ნორვეგია) — „ტიროლი“ (ავსტრია)	1:1 (1:2)
„მეხელენი“ (ბელგია) — „პაოკ (საბერძნეთი)	0:1 (1:1)
„სტიაუა“ (რუმინეთი) — „ანორთოსისი“ (კვიპროსი)	2:2 (2:1)
„პარმა“ (იტალია) — ცსკა (ბულგარეთი)	1:1 (0:0)
„პარტიზანი“ (იუგოსლავია) — „ხიხონი“ (ესპანეთი)	3.X (0:2)
„დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „სპორტინგი“ (პორტუგალია)	2:0 (0:1)
„როტ ვაისი“ (ობერლიგა, გერმანია) — „გრონინგენი“ (ჰოლანდია)	1:0 (1:0)
აეკ (საბერძნეთი) — „ვლაჭნია“ (ალბანეთი)	3.X (1:0)
„ჭენოა“ (იტალია) — „ოვიედო“ (ესპანეთი)	3.X (0:1)
„ინტერი“ (იტალია) — „ბოავიშტა“ (პორტუგალია)	0:0 (1:2)
„ტრაბზონსპორი“ (თურქეთი) — „გრადჩანკი“ (იუგოსლავია)	1:1 (3:2)
„ფლორიანა“ (მალტა) — „ჭსამაქსი“ (შვეიცარია)	0:0 (0:2)
„ოსასუნა“ (ესპანეთი) — „სლავია“ (ბულგარეთი)	4:0 (0:1)

გამორიცხული არ არის, რომ აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების სასტარტო ხუთეული ასეთი იქნება: (მარცხნიდან) მაიკლი ჯორდანი, პატრიკ იუინგი, მეჯიქ ჯონსონი, კარლ მელოუნი და ჩარლზ ბარკლი

მიიღეთ ისეთი, როგორიც არის

ჩარლზ ბარკლი „ფილადელფია-76“-ის წამყვანი მოთამაშე, უამრავ ფულს ხარჯავს ჯარიმებში, რომლებსაც მას აკისრებენ ცხენშობისათვის, ლანძღვისათვის, მსაჯთან კამათისათვის. როგორც ხედავთ ბარკლის „რეპერტუარი“ საკმაოდ მრავალფეროვანია.

„თქვენ მე უნდა მიმიღოთ როგორიც ვარ. თუ არა და არც მე მინდიხართ თქვენ!“ — ეს სიტყვები ძალზედ ზუსტად ახასიათებს ბარკლის. მას შეუძლია გალანძღოს თავისი თანაგუნდელი სულ უმნიშვნელო შეცდომებისათვის. ალბათ იმიტომ, რომ იგი თავის თავის მიმართაც ძალიან მომთხოვნია.

მიუხედავად ყველაფრისა ბარკლის მიიჩნევენ ერთ-ერთ უდიდეს და უნიკალურ მოთამაშედ კალათბურთის ისტორიაში. მას ისეთი კალათბურთელების გვერდით აყენებენ, როგორებიც არიან მაიკლ ჯორდანი, პატრიკ უინგი, მეჯიქ ჯონსონი და კარლ მელოიუნი. სწორედ მათთან ერთად ბარკლიმ შეადგინა სასტარტო ხუთეული აშშ-ს ნაკრებისა, რომელიც ბარსელონას ოლიმპიადაზე უნდა წარსდგეს. თუმცა კი გადაწყვეტილი არ არის ჯორდანისა და ჯონსონის მონაწილეობა ოლიმპიურ თამაშებში.

თუ გინდათ გაიგოთ ვინ არის ბარკლი, თქვენ იგი უნდა მიიღოთ მთლიანად თავისი კარგით და ცუდით. ბევრი გულშემატკივარისთვის ის არის ერთის მხრივ ბიჭი რომელიც ყოველთვის მასხარასავით იქცევა და მეორეს მხრივ კი სპორტსმენი რომელიც შარშან „მეჯიქ“ ჯონსონს ეცილებოდა ყველაზე ძვირად ღირებული კალათბურთელის ტიტულს. მაგრამ არსებობს საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი, დაფარული ბარკლი, რომელსაც ერთეულები თუ იცნობენ. ეს არის კაცი რომელსაც უამრავი ცხოვრებისეული დაბრკოლება შეხვდა და მან (მეტნაკლები) წარმატებით, მაგრამ მაინც გაართვა მათ თავი.

„ყველა სიძნელის დაძლევა დიდ ენერგიას მოითხოვს“ — თითქოს ჩიკვის ჩარლზი და უცებ — „მაგრამ არაფერი არ არის ჩემზე ძლიერი! მე ვერაფერი დამაგდებს“. იგი მიხვდა, რომ ბევრი რამ არსებობს ისეთი რაც კალათბურთზე ბევრად მნიშვნელოვანია. ეს მილიონერი კალათბურთს, რომელმაც მას ყველაფერი მისცა, ცოტა უმადურად ეპყრობა. იგი მას მიიჩნევს დასვენების საშუალებად. მაგრამ ვისაც იგი თამაშში უნახავს, იმას რასაც ეს კალათბურთელი მოედანზე აკეთებს დასვენებას ვერაფრით დაარქმევს. ეს არის პირქუში მებრძოლი. იგი თავის აღნაგობით გაოცებას იწვევს. შედარებით დაბალი (196 სმ), ამჯობინებს ფართან ახლოს თამაშს. მძაფრი წინააღმდეგობის დროს ორი ხელით ზემოდან ჩაგდებული ბურთი — ეს არის ბარკლის სტიქია. იგი ისეთივე ბრწყინვალეა როგორც ჯორდანი და ისეთივე შეუცვლელია როგორც ჯონსონი. სისწრაფისა და ძალის ჰარმონიული შერწყმა, მოხერხებულობა, უდიდესი ფიზიკური ძალა და, რაც ძალიან ფასობს, იუმორის გრძნობა ერთად აღებული მას ერთ-ერთ შესამჩნევ პიროვნებად აქცევს. ამავე დროს ბარკლი სერიოზული და მგრძნობიარეა ისეთ საკითხებში როგორიც არის ოჯახთან დამოკიდებულება, სიღატაკე და ნარკოტიკები. რომ შეხვდეთ და ესაუბროთ მის ნამდვილ მეგობრებს ისინი მოგიყვებიან სერიოზულ და კეთილ ბარკლის შესახებ. ისინი გეტყვიან თუ როგორ ჩაუდო მან ხელში ოცი დოლარი მათხოვარს, თუ რა ხშირად რიცხავს ფულის შიდსით დაავადებულთა ფონდში. რაც შეხება თავის ძირითად პროფესიას კალათბურთს — იგი წელს მესამე ადგილზე გავიდა მაიკლ ჯორდანისა და ჯონსონის შემდეგ. ამის თაობაზე მან თქვა: „მაიკლი და ირვინი ძლიერები არიან, მაგრამ არც მე ვარ მათზე სუსტი!“

აი ასეთი ჯაჭლიანა და შაირიანია ჩარლზ ბარკლი და გულშემატკივრებს ისღა დარჩენიათ მიიღონ იგი ისეთი როგორიც არის.

დიმიტრი ოგბოლაძე

„კონკია“ სახელად ვინუსი

„ფანტასტიკურია. მსგავსი ჯერ არაფერი მინახავს. ეს ბავშვი თვითნაბადი ტალანტია“ — ნიკ ბოლეტიერის არც უცდია თავისი აღტაცების დაფარვა. ერთი შეხედვით, რას უნდა გაეკვირვებინა ეს საქვეყნოდ ცნობილი სპეციალისტი, ჩოგბურთის მრავალი გამოჩენილი ოსტატის მასწავლებელი. მიუხედავად ამისა, იგი დიდხანს ვერ მალავდა თავის აღტაცებას.

რა ხდებოდა ამ დროს კორტებზე? ვარჯიშობდნენ ისეთი გრანდები, როგორც ჯონ მაკინროი და პიტ სამპრასი, სპარინგპარტნიორის როლში კი... ათი წლის ვინუს უილიამსი „გამოდიოდა“. ამ პატარა ჭოგონამ, რომელიც კალიფორნიის შტატის ქალაქ კომტონში ცხოვრობს, დიდი ხანია მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. უკვე ორი წელია მას არ ჰყავს მეტოქე თანატოლთა შორის. მოწინააღმდეგეებს იგი, როგორც წესი, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე ჯაბნის, ისე, რომ არც ერთ მოწოდებას არ აგებს.

უპირველეს ყოვლისა, ამ შავკანიან გოგონას, უზადო ფიზიკური მონაცემებით გამოარჩევთ, რაც ასე აუცილებელია ჩოგბურთელისათვის: მისი სიმაღლე უკვე 160 სანტიმეტრია, გრძელი ხელები და ფეხები აქვს. იგი ბრწყინვალედ მოძრაობს მოედანზე, სწრაფი და კოორდინირებულია, აქვს ძლიერი დარტყმა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ მას შეუძლია თამაშის წაყვანა. მარცხნიდან ვინუსი ორი ხელით თამაშობს, ბრწყინვალედ „ატრიალებს“ ბურთს მარჯვნიდან და რაც მთავარია, ყოველთვის ცდილობს აღმავალ ბურთზე დარტყმას, რითაც მეტოქეს უსპობს სწრაფი რეაგირების საშუალებას. ნორჩი ტალანტი ამბობს, რომ საჩოგბურთო სიტუაციებიდან ყველაზე მეტად უყვარს ისეთ ჩაწოდებაზე თამაში, როდესაც შესაძლებელია წარმატებით ითამაშო „დასწრებაზე“, საკუთარ ხელში აიღო ინიციატივა. ამასთან, სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ ვინუსის დარტყმების კარგ ტექნიკას.

— ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ამ ასაკში მას ძალზე გაწონასწორებული ტექნიკა და ბრწყინვალე აზროვნება აქვს. ეს ყველაფერი აუცილებელი თვისებებია ჩოგბურთელისთვის — ამბობს ნიკ ბოლეტიერი.

ვინუს უილიამსი ჟურნალისტებმა „კონკიად“ მონათლეს და მას ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მაგრამ, ამავე დროს, გაზეთები გოგონას მამას ქალიშვილის ზედმეტად მფარველობაში ადანაშაულებენ. მიმომხილველებს მხედველობაშია აქვთ ის ფაქტი, რომ რიჩარდ უილიამსი კატეგორიული წინააღმდეგია შვილის ადრეული პროფესიონალიზაციისა. მას არავითარი კონტრაქტის გაგონებაც არ სურს, თუმცა, წინადადებები საკმაოდ სოლიდურია.

— ჩვენთან პირველ ადგილზე დგას უფალი ღმერთი, შემდეგ ოჯახი, შემდეგ ვინუსის განათლება და მხოლოდ ამის შემდეგ — ჩოგბურთი. ვის არ სურს წელიწადში მილიონის მიღება, მაგრამ დოლარებზე მეტად ჩვენ ჯანმრთელი შვილი გვჭირდება. — ამბობს რიჩარდი.

ამავე აზრს იზიარებს ბოლეტიერიც: „ეს ის შემთხვევაა, როდესაც სიჩქარე არ არის საჭირო. თავის დროზე ყველაფერი მოვა. სამიოდე წლით მოცდა კიდევ შეიძლება“.

საინტერესოა, რომ გულუხვმა წინადადებებმა ვერც ვინუსი შეაცდინა. მან იცის, რომ ვერ „გაქაჩავს“ ერთდროულად ორ ტვირთს — სპორტსა და სწავლას.

— ჩოგბურთი ჩემი ერთ-ერთი ოცნებაა, მაგრამ მე კარგ განათლებაზეც ვოცნებობ. ახლა ჩოგბურთი ჩემთვის სასიამოვნო გართობაა და მე ჯერ არ მიფიქრია იგი პროფესიად გავიხადო. შეიძლება ეს ოდესმე მოხდეს კიდეც, ჯერჯერობით კი მინდა ჩემი სიამოვნებისათვის ვითამაშო, — ამბობს ვინუს უილიამსი.

მოამზადა შალვა შალოლაშვილმა.

უშველის სოკ-ი მონიკას?

იუგოსლავიელი ჩოგბურთელი მონიკა სელეში კვლავ მსოფლიოს სპორტული პრესის ყურადღების ცენტრშია. თუმცა, საუბარი დღეს მხოლოდ მის წარმატებებს როდი ეხება — მიმდინარე სეზონში მან ხომ „გრენდ სლემის“ ოთხი ტურნირიდან სამი მოიგო. ამჯერად უფრო მეტად ეხებიან სპორტსმენის გარშემო ატეხილ სკანდალს, რომელიც როგორც ჩანს, ჯერ არ დასრულებულა.

ივლისის ბოლოს გაიმართა ფედერაციის თასის გათამაშება, რომელიც ფაქტობრივად ქალთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატია. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესების თანახმად, იმ სპორტსმენებს, ვისაც აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობა არ მიუღია, ავტომატურად ჩამოერთვათ გაისად ბარსელონას ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება. დასჯილთა შორის აღმოჩნდნენ მარტინა ნავრატილოვა, გაბრიელა საბატინი და მონიკა სელეში. პირველ ორთან დაკავშირებით საკითხი გარკვეულია — მათ პრეტენზიები არ გამოუთქვამთ. რაც შეეხება სელეშს, მისი „საქმე“ ჯერ კიდევ ექვემდებარება განხილვას.

მონიკა ყველანაირად ცდილობს თავის დაცვას. პირველად მან წარმოადგინა ცნობა ჯანმრთელობის შესახებ. თითქოს სწორედ ამ მიზეზით ვერ შეძლო უიმბლდონში გამოსვლაც. მაგრამ როდესაც ცნობილი გახდა, რომ სელეშმა იმ დროს ნიუ-ჯერსის მსხვილ კომერციულ ტურნირში მონაწილეობა აჯობინა, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მაშინვე მიიღო მის მიმართ მკაცრი სანქცია. საპასუხოდ, სელეშმა იუგოსლავიის ჩოგბურთის ფედერაცია დადანაშაულა, რომელმაც არ მიიწვია იგი ევროპული ნაკრებში სათამაშოდ. მაგრამ ეს ფაქტიც უკუგდებულ იქნა.

სელეშის საქციელი ბევრმა წამყვანმა ჩოგბურთელმაც დაგმო. „მონიკა ჩანებული ჩოგბურთის თამაშობს და დამსახურებულადაც ატარებს მსოფლიოში უძლიერესის ტიტულს. მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ იგი პირველ რიგში ფულისთვის გამოდის კორტზე“, — ამბობს შტეფი გრაფი. მის პოზიციას იზიარებს ამერიკელი ზინა გარისონი: „მონიკამ გაუმართლებელი საქციელი ჩაიდინა. ჯენიფერ კაპრიატიმ, არანტა სანჩესმა და სხვებმა ფედერაციის თასის გათამაშება მნიშვნელოვან შეჯიბრებად ჩათვალეს და ყველაფერი იღონეს მისი პრესტიჟის ასამაღლებლად. მონიკამ კი მათ მხარი არ აუბა“. თვითონ სელეშმა საკმაოდ აგრესიული რეაგირება მოახდინა მეტოქეთა გამონთქვამზე: „ახინი ჩემს წინააღმდეგ არიან განწყობილნი და ზოგიერთს უხარია კიდეც, რომ მე ვერ გამოვალ ბარსელონაში, როგორც ეს უიმბლდონში იყო“.

ასეა თუ ისე, სელეში ფარხმალის დაყრას არ აპირებს. მან თხოვნით მიმართა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციაზე გავლენის მოსახდენად. სოკ-ისთვის ცხადია, ძვირფასია წმინდა სპორტული პრინციპები. მაგრამ, იმავე დროს, სოკ-ი ძალზე დაინტერესებულია იმით, რომ ოლიმპიურმა ტურნირმა მაქსიმალურად ძლიერ შემადგენლობას მოუყაროს თავი. მითუმეტეს, დანკარგები ბარსელონის წინ უკვე მნიშვნელოვანია: ნავრატილოვა, საბატინი, სელეში ხომ ნებისმიერი რანგის ტურნირის დამშვენებდნენ. მაშ, რას იტყვის სოკ-ი?

აქეთური, იქითური...

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ატლანტის 1996 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორებს მოსთხოვა შეწყვიტონ ოლიმპიური სიმბოლიკიანი სუვენირების გაყიდვა. ამის მიზეზი ის არის, რომ ატლანტა ბარსელონას არასასურველ კონკურენციას უწევს. დღეს კი ამგვარი სიმბოლიკის მქონე ნაკეთობათა გაყიდვის ერთპიროვნული უფლება მხოლოდ ბარსელონას აქვს.

• • •

სოკ-ი 1992 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ტრანსლაციის ნებართვაში ტელევიზიისაგან 700 მილიონ დოლარს მიიღებს. ვის ძალუძს ასეთი თანხის გადახდა? ამერიკულმა ტელეკომპანიამ ენ-ბი-სიმ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ბიუჯეტში უკვე გადარიცხა 401 მილიონი დოლარი. შეადარეთ სეულში სოკ-მა მხოლოდ 407 მილიონი დოლარი მიიღო.

• • •

ავსტრალიის მთავრობამ მხარი დაუჭირა სიდნეის კანდიდატურას და განაცხადა, რომ მზად არის გამოყოს 300 მილიონი დოლარი, რათა ქალაქმა სარეკლამო კომპანია გააჩაღოს. სიდნეი აპირებს 2000 წლის ოლიმპიადის მასპინძლობას. და თუ იგი ამის უფლებას მიიღებს, მთავრობა დამატებით 150 მილიონის ხარჯებს გაიღებს.

• • •

ამერიკელმა მოკრივემ მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა ევანდერ ჰოლიფილდმა შესაძლოა მომდინარე სეზონში პირველი ადგილი დაიკავოს დიდ შემოსავლიან სპორტსმენთა შორის. წლის ბოლოსათვის მის მიერ გამომუშავებულმა თანხამ უნდა შეადგინოს 60,5 მილიონი დოლარი. წინასწარი სიით მეორე ადგილზეა მსოფლიოს ეკს-ჩემპიონი მაიკ ტაისონი — 31,5 მილიონი დოლარი. სხვათა შორის, 8 ნოემბერს სწორედ მას და ჰოლიფილდს მოუწევთ ერთმანეთის პირისპირ წარდგომა მოკრივეთა უმაღლესი ტიტულის მოსაპოვებლად. მესამე ადგილზეა „ჩიკაგო ბულზის“ გამოჩენილი მოთამაშე მაიკლ ჯორდანი — 16 მილიონი დოლარი. შემდეგ მოდიან ჭორჭ ფორმენი — 14,5 მილიონი დოლარი და პირველი ხუთეულის ბოლო კაცი ბრაზილიელი ავტომრბოლი აირტონ სენა — 13 მილიონი. ეს სია გამოაქვეყნა ნიუ-იორკის ეკონომიკურმა ჟურნალმა „ფობოსმა“.

• • •

გერმანიაში ფეხბურთის პოპულარობა არ იკლებს. თუმცა მას მერე, რაც ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიგო ერთი წელი გავიდა. ბუნდესლიგის თამაშები კვლავ დიდ აუდიტორიას იკრებს. 1991-1992 წლების ჩემპიონატის პირველ ოთხი ტურის მატჩებს დაესწრო მილიონზე მეტი ადამიანი ანუ საშუალოდ 27,151 კაცი ერთ მატჩზე. შარშანდელთან შედარებით ეს 45 პროცენტით მეტია.

• • •

გერმანელი „სპრინტის დედოფალი“ კატრინ კრაბე, რომელმაც ახლახანს, ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატზე „ოქროს დუბლი“ შეასრულა, წელს არ აპირებს მის მთავარ მეტოქესთან, ამერიკელ მერლინ ოტისთან სარბენ ბილიკზე შეხვედრას. ამგვარად, კრაბეს გადაწყვეტილი აქვს არსებული უპირატესობის შენარჩუნება და ყურადღების გამახვილებას ბარსელონის ოლიმპიადაზე აპირებს.

აქეთური, იქითური...

PALAVANI • ПАЛАВАНИ
ფალავანი

„სარბიელის“ სპონსორია ასოციაცია „ფალავანი“

გამოდის პარასაქეობით
სარბიელი
ინდექსი 66441

ჩვენი მისამართი:
თბილისი 380096, კოსტავას ქ. №14
გაზეთ „სარბიელის“ რედაქცია.

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა კომპიუტერით ამს გამოთვლით ცენტრში. ტელეფონი 35-26-44
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში თბილისი, ხოშარაულის ქ. 29

რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია.
სარედაქციო კოლეგია: ელგუჯა ბერიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ბიოლრბი ქორძია (პასუხისმგებელი მდივანი), შალვა შალოლაშვილი.
კომერციული დირექტორი შოთა ჯულუხაძე.